



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### კობიაშვილი ლევან ზურაბის ძე



ლ. კობიაშვილი

კობიაშვილი ლევან ზურაბის ძე (დ. 10. VII. 1977, თბილისი), სპორტსმენი (ფეხბურთი, მცველი, ნახევარმცველი). უეფას ინტერტოტოს (2003-04) და გერმ. ლიგის თასების მფლობელი (2006), ბუნდესლიგის ორგზის ვიცე-ჩემპიონი (2005, 2007). სპორტული სკოლა „ავაზის“ აღზრდილი. თამაშობდა საქართვე., რუს. ფედ. და გერმ. კლუბებში: საქართვე. ოთხგზის ჩემპიონი (1995, 1996, 1997, 1998) და თასის სამგზის მფლობელი (1996-98), საქართვე. სუპერთასის ორგზის მფლობელი (1996-97). საქართვე. ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებული აქვს რეკორდული რაოდენობის (100) შეხვედრა (12 გოლი). კ. გამოირჩეოდა ბრძოლისუნარიანობით, დახვეწილი ტექნიკით, დრიბლინგით, კარგი პასით. კ. მეორე ადგილზეა

არაგერმანულ ფეხბურთელთა შორის ბუნდესლიგაში ჩატარებული მატჩების ოდენობით (351 მატჩი, 32 გოლი). საქართველოს წლის ფეხბურთელი (2000, 2005, 2011). იყო ბერლინის საფეხბურთო კლუბ „ჰერტას“ აკადემიის მენეჯერი (2014), ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის - „თბილისი 2015“ ოლიმპიური სოფლის მერი (2015), საქართვე. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი (2015). 2016-იდან კი - ქართ. ფეხბურთის განვითარების ფონდის გამგეობის წევრი.

საქართვე. პარლამენტის ორი მოწვევის დეპუტატი პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოდან“ (2016, 2020).

---